,,დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე“

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობების კვლევა

პროექტი „SEOS“ - ,,დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტომიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე ხორციელდება“ 10/2021 - 04/2023 წლებში სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს Slovak Aid-ის ფინანსური მხარდაჭერით

„საზოგადოება ბილიკი“

© გორი 2022

,,დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე“ 1

აღნიშნული კვლევა ჩატარებულია ,, შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში'' პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „საზოგადოება ბილიკი“ და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ი, სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Slovak Aid) ფინანსური მხარდაჭერით.

ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მასალაში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება „საზოგადოება ბილიკს“ და ის არ წარმოადგენს სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენ ტოს (Slovak Aid) შეხედულებებს.

პროექტის ხელმძღვანელი: მარიკა მღებრიშვილი

კვლევის ექსპერტი: სოსო მეზვრიშვილი

თარგმანი: მანანა ყუბანეიშვილი

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის საჭიროების დასაბუთება 6

კვლევის მიზნებები 7

კვლევის დიზაინი 8

ანალიზი ..... **Error! Bookmark not defined.**

სამაგიდო კვლევა 10

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ)[1] პირები, რომლებიც საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი და ვერ სარგებლობენ იმ მომსახურებით, რა სერვისებითაც საზოგადოების სხვა ჯგუფები სარგებლობენ. ხშირია, როდესაც საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია შშმ პირების შესახებ და ფიქრობენ, რომ მათ გარშემო არ ცხოვრობენ რაიმე საჭიროების მქონე ადამიანები და არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა საჭიროებები გააჩნიათ მათ.

საქართველოს მთავრობამ 1996 წელს მოახდინა გაეროს შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირება, მაშინ როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პრობლემებს აგვარებდნენ და ჩამოშლილი იყო სახელმწიფო ინსტიტუტები, თუმცა რატიფიცირებიდან 25 წლის შემდგომ შშმ პირთა უფლებები და ინტერესები კვლავ დაუცველია და ისინი ვერ გრძნობენ თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. მიუხედავად 90-იანი წლების გაუსაძლისი ეკონომიკური და ყოფითი პრობლემებისა, სახელმწიფომ გააცნობიერა შშმ პირების პრობლემები და გადადგა ნაბიჯი საზოგადოების ამ ნაწილის დასახმარებლად, 2006 წელს კიდევ უფრო კარგად გაიწერა შშმ პირებზე ორიენტირებული პროგრამები, რასაც 2013 წლის გაეროს შშმ პირთა კონვენციის რატიფიცირების და ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მოჰყვა, მაგრამ ლამაზად მომზადებული კანონპროექტები ჯერ-ჯერობით მხოლოდ თეთრზე შავად წერია და პრაქტიკაში ვერ ხორციელდება ისე, როგორც ეს იყო და არის დაგეგმილი, რაც დღევანდელ რეალობაში შშმ პირთა ყოველდღიურობას კიდევ უფრო მძიმედ აწვება და არღვევს მათ უფლებებს, ,,ღირსეული ცხოვრების და თანასწორობისას''.[2]

---

[1] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმ) არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში

[2] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია (UNCRPD) რატიფიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს;

კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ყველას აქვს უფლება ღირსეული ცხოვრების, დასაქმების, თავისუფლად გადაადგილების, სამედიცინო სერვისებზე წვდომის, განათლების და ა.შ. თუმცა, ეს უფლებები ხშირად ეზღუდებათ შშმ პირებს. თუ მათ აქვთ საშუალება ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის, ამავდროულად არ აქვთ შესაძლებლობა, ადაპტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოფნის და დამოუკიდებლად გადაადგილების დასაქმების და საკუთარი სახსრებით ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების.

სწორედ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა კვლევა შშმ პირთა დასაქმების კუთხით, შეგვესწავლა სამაგიდო კვლევის საშუალებით არსებული კანონპროექტები, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, მოგვეხდინა სხვადასხვა კვლევების მეორადი ანალიზი და შემდგომ უკვე განგვეხორციელებინა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა შშმ პირებთან, რათა შეგვესწავლა მათი შესაძლებლობები შრომის ბაზართან მიმართებაში და გაგვეგო რეალურად რამდენად აქვთ საშუალება კონკურენტუნარიან გარემოში დასაქმების და ცხოვრების, რამდენად არის მათი ძირითადი უფლებები დაცული და როგორია მათი ყოველდღიურობა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა დასაქმების მხრივ არსებული რეალობის შესწავლა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე - შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. კვლევის შედეგად შესწავლილი იქნება არსებული რეალობა შშმ პირთა დასაქმების კუთხით, რა გამოწვევებია შრომის ბაზარზე, რამდენად არის ადაპტირებული გარემო და რა პროგრამები არსებობს სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა დასაქმების კუთხით.

კვლევის ამოცანებია:

- მოძიებულ და შესწავლილ იქნეს საჯარო ინფორმაცია, ასევე სხვადასხვა კვლევები შშმ პირთა დასაქმების კუთხით და შესწავლილ იქნას საკანონმდებლო ბაზა.
- ჩატარდეს ფოკუს ინტერვიუები შრომისუნარიან შშმ პირებთან და შესწავლილ იქნას მათი განწყობები და შესაძლებლობები დასაქმების კუთხით. · განხორციელდეს რაოდენობრივი კვლევა შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში შშმ პირთა შრომითი უნარების შესწავლისთვის, მათი ყოველდღიურობის საჩვენებლად.
- მომზადდეს სარეკომენდაციო პაკეტები და განხორციელდეს ადვოკატირების

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა;

კამპანია ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სამი კვლევის ანალიზს - სამაგიდო, ფოკუს ჯგუფს და რაოდენობრივ კვლევას, რომელიც განხორციელდა საქართველოს სამ რეგიონში: შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში. კვლევა არის გამოყენებითი ხასიათის, რომელიც გათვლილია შშმ პირების უფლებებზე და დასაქმებაზე მომუშავე არასამთავრობო თუ სამთავრობო სექტორისთვის, ასევე სოციალური მუშაკებისთვის და დასაქმების სააგენტოებისთვის.

კვლევის საჭიროების დასაბუთება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა წილი მსოფლიოს მოსახლეობაში 15%-ს შეადგენს[3]. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა და შშმ პირებს შეუქმნას თანასწორი და ღირსეული პირობები. თანამედროვე სამყაროში უთანასწორობა კვლავაც ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, შესაბამისად გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ხშირია, როდესაც არაადაპტირებული გარემო პირდაპირ ქმნის თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვას, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას, რადგან ხშირად მათ ესაჭიროებათ განსხვავებული სახის სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისები, რასაც სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევა ვერ ან არ ანაზღაურებს. ვერ ხერხდება შშმ პირების დასაქმება კერძო თუ საჯარო უწყებებში, რაზეც ზემოთ ხსენებული უთანასწორო და არაადაპტირებული გარემო ახდენს გავლენას. ეს არის ის ფუნდამენტური პრობლემები, რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან ცხოვრების განმავლობაში, თუმცა საქართველოს რეალობაში გაცილებით მეტი პროცენტია უმუშევრობის, ვიდრე ეს ევროპის და ზოგადად განვითარებულ სახელმწიფოებში. შშმ პირებს არ აქვთ სახელმწიფოს მხრიდან საარსებო მინიმუმისთვის საჭირო პენსია ან დახმარებები, ხოლო დასაქმების კუთხით არც საჯარო და არც კერძო სექტორი არ გამოირჩევა მზაობით და მხოლოდ გარკვეული სოციალური კამპანიებით შემოიფარგლებიან, რაც მხოლოდ მოკლევადიან შედეგზე არის ორიენტირებული. ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს ასევე ექსპერტებისა და შშმ პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გარეშე სამკურნალო,

[3] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე - რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნული ცენტრი (ncra.ge)

სარეაბილიტაციო, დახმარების, დასაქმების თუ სხვა პროგრამების შემუშავების პროცესი, რაც შემდგომ განაპირობებს ამ პროგრამების დაბალ ეფექტურობას. მიუხედავად რიგი გამოწვევებისა, ხელისუფლებამ შეიმუშავა შშმ პირთა ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა 2020-2035[4], რომელიც 2021 წლიდან ამოქმედდა და ითვალისწინებს 2035 წლის ჩათვლით ღირსეული და თანასწორი გარემოს შექმნას ქვეყნის მასშტაბით, შესაბამისად წინამდებარე კვლევა ერთ-ერთი კარგი ინდიკატორი იქნება წლების შემდგომ, პროგრამის განხორციელებამდე არსებული სიტუაციის შესადარებლად, მისი განხორციელების და დასრულების ეტაპებთან, თუ რამდენად გაუმჯობესდა შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი კერძო და საჯარო სექტორში.

~~კვლევის მიზნები~~

კვლევის შედეგად სამაგიდო და საველე კვლევებისას გამოიკვეთა შემდეგი მიზნები:

- სახელმწიფო დონეზე არსებობს ე.წ. მკვდარი კანონი - კანონი, რომელიც პრაქტიკაში არ/ვერ მუშაობს;
- მუნიციპალიტეტებს არა აქვთ შშმ პირების სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მათ მუნიციპალიტეტებში ცხოვრობენ და ხშირად მათ ნაწილზე დახმარებებსაც კი გასცემენ;
- ადაპტირებული გარემო არ არის სტანდარტების შესაბამისად ან/და შესაბამისად გაკეთებული პანდუსები, აუცილებელია შენობების, ლიფტების, საპირფარეშოების, კარებების და სხვა ინფრასტრუქტურის ადაპტირება;
- არ გვხდება გრძელვადიან შედეგზე გათვლილი დასაქმების პროგრამები სახელმწიფოს დონეზე;
- სამოქალაქო საზოგადოება არ არის ჩართული იმ პროგრამების და პოლიტიკის შემუშავებაში, რაც შშმ პირებს ეხებათ;
- მუნიციპალიტეტებს არ აქვთ სტრატეგიული ხედვის დოკუმენტები შშმ პირების დასაქმების, რესოციალიზაციისა და განვითარებისკენ მიმართული; · შშმ

[4] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)
სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

პირებისთვის არ გვხვდება მცირე ან სოციალური საწარმოების დაარსების/

- განვითარებისთვის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- მუნიციპალური საბჭოები არ არიან ქმედითუნარიანნი და საჭიროებენ შშმ პირებისა და სამოქალაქო სექტორის აქტიურ ჩართულობას;
- შშმ პირთა მიმართ ქვეყანაში არსებობს უთანასწორო და დისკრიმინაციული გარემო;
- საგანმანათლებლო სექტორი ვერ უზრუნველყოფს შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნას;
- შრომის ბაზარზე არ არსებობს შშმ პირთა შესაძლებლობებზე მორგებული ცალკე გამოყოფილი ვაკანსიები;
- შშმ პირთა დასაქმების კუთხით, სახელმწიფოს არ გააჩნია კერძო სექტორისთვის ,,წამახალისებელი“ ან ,,მაიძულებელი“ ბერკეტები;
- არ გვხვდება შშმ პირთა შესაძლებლობებზე მორგებული სტაჟირების პროგრამები;
- საყოველთაო დაზღვევა ვერ უზრუნველყოფს შშმ პირების საჭიროებების დაფინანსებას და საჭიროა ინდივიდუალური შეფასება პირის და არა საყოველთაო მიდგომის სტანდარტების გამოყენება;
- არსებული საპენსიო სისტემა შეუსაბამოა შშმ პირთა საარსებო მინიმუმის მოთხოვნებთან;
- ეროვნული სასწავლო გეგმები ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვნად შშმ ბავშვების აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარებას;
- უმაღლესი სასწავლებლების ნაწილს კვლავ არ აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შშმ პირებისათვის;
- მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში სარეაბილიტაციო ცენტრებით სარგებლობა შეუძლებელია;
- 18 წლიდან შშმ პირებს ეხსნებათ პენსია და სამედიცინო დაფინანსება, რომელსაც რეაბილიტაციის კურსის გასავლელად იყენებენ.
- შშმ პირთა დღის ცენტრები არ ფუნქციონირებს ყველა მუნიციპალიტეტში, მათი ნაწილი კი სრულად არ მოიცავს 18+ კატეგორიას.

~~კვლევის დიზაინი~~

კვლევის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მისი მეთოდოლოგიის და შერჩევის

სწორად განსაზღვრა, რადგან აღნიშნული საკითხი განსაზღვრავს კვლევის სანდოობის ხარისხს. ვინაიდან შშმ პირები სპეციფიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და მათთან კომუნიკაცია გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება და არ იძლევა მთლიანად თავისუფალი ქცევის შესაძლებლობას, აუცილებელია რომ სწორად და ზუსტად განისაზღვროს კვლევის თითოეული ეტაპი და ნაბიჯი. აღნიშნული კვლევის განხორციელებისათვის შეირჩა შერეული კვლევის დიზაინი, რაც გულისხმობს რამდენიმე მეთოდის ერთდროულად გამოყენებას. საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შშმ პირთა დასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობის კვლევა, შეირჩა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რაც არსებული კვლევებისა და საჯარო ინფორმაციის მეორად ანალიზს მოიცავს და ადარებს ჩვენს მიერ მიღებულ უახლეს ინფორმაციას. სწორედ სამაგიდო კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავდა ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა და თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ ფოკუს დისკუსიის მეთოდი, რაც გულისხმობდა შშმ პირებთან ჯგუფურ ინტერვიუს და უშუალოდ მათგან მიღებულ ინფორმაციას მათი დასაქმების, ინკლუზიური განათლების, თანასწორობისა და სამედიცინო მომსახურების პირობების შესახებ.

ფოკუს ჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით უშუალოდ დაიგეგმა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ,,თოვლის გუნდის“[5] მეთოდის გამოყენებით განხორციელდა, რადგან არ არსებობს მონაცემთა ბაზა შშმ პირების შესახებ, სადაც შესაძლებელი იქნება მათი საკონტაქტო ან საცხოვრებელი ინფორმაციის მოძიება შემდგომში სხვადასხვა ჩართულობის გასაზრდელად, ამიტომ თოვლის გუნდის მეთოდით მოგვიწია 150-ზე მეტი შშმ პირის გამოკითხვა. რაოდენობრივი კვლევისას გაიზომა და სტატისტიკური პროცენტების სახით წარმოდგა ის პრობლემები და საკითხები, რომელიც შშმ პირებს დასაქმების კუთხით აქვთ. შერეული კვლევის დიზაინი საკმაოდ წარმატებული და ზუსტი აღმოჩნდა წინამდებარე კვლევისთვის, რადგან მაქსიმალურად გამოავლინა ის პრობლემები და საკითხები, რაც შშმ პირებს აწუხებთ და აღსანიშნავია, რომ ეს განხორციელდა უშუალოდ მათი ჩართულობით და მონაწილეობით.

[5] ,,თოვლის გუნდის“ მეთოდი ერთ-ერთი ცნობილი კვლევის მეთოდია რაოდენობრივი კვლევის დროს, რომელიც გამოიყენება მცირე ჯგუფებთან კვლევის ჩატარების დროს, როგორებიც არიან: შშმ პირები, რელიგიური, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ როდესაც სახელმწიფოს, ან რომელიმე უწყებას არ გააჩნია შესაბამისი ინფორმაცია მათ შესახებ, მკვლევარი პოულობს რამდენიმე წარმომადგენელს საკვლევი ჯგუფიდან და მათ სთხოვს რომ მისი ჯგუფის სხვა წევრთან დააკავშიროს და ამისთვის სთხოვს საკონტაქტო ინფორმაციას, შემდგომ უკავშირდება რეკომენდირებულ პიროვნებას და იღებს ინტერვიუს, რის შემდეგაც მასაც ანალოგიურად, ჯგუფის სხვა წარმომადგენლის შესახებ სთხოვს საკონტაქტო ინფორმაციის მოწოდებას.

~~კვლევის ანალიზი~~

კვლევის ანალიზის გაცნობამდე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მეთოდით აქამდე ჩატარებული სხვა კვლევა ვერ მოიძია ჩვენმა გუნდმა, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე კვლევა არის პირველი, რომელმაც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები გამოიყენა შშმ პირთა დასაქმების პრობლემებისა და საჭიროებებთან მიმართებაში. ანალიზი მომზადებულია შშმ პირთა გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ რეგიონში - მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში, სადაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ექვსი - გორის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, ახალციხის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

კვლევამ მოიცვა 200-მდე შშმ პირი ფოკუს ჯგუფისა და რაოდენობრივი კვლევის დახმარებით და მიღებული სტატისტიკური მონაცემები მთლიანად ეყრდნობა შშმ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზს.

სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევა განხორციელდა 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში. სამაგიდო კვლევის მიზანს წარმოადგენდა არსებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლა ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე. კვლევის პროცესში შემთხვევით შერჩეული იყო სამი რეგიონი - შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი, საიდანაც ასევე შემთხვევით შერჩევის პრინციპით აირჩა ორ-ორი მუნიციპალიტეტი: გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, მცხეთა და დუშეთი. შესაბამისად, გამოთხოვილი საჯარო

ინფორმაცია მოიცავს ზემოთ ხსენებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით არსებულ მდგომარეობას. სამაგიდო კვლევის განმავლობაში გამოწვევა იყო საჯარო უწყებებთან კომუნიკაცია, რადგან მათი ნაწილი ვერ გვაწვდიდა კანონმდებლობით დადგენილ სამუშაო ვადებში ინფორმაციას, თუმცა, აღსანიშნავია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომელმაც ხუთ სამუშაო დღეში მოგვაწოდა კვლევის ყველა ეტაპისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია. საბოლოო ჯამში გამოთხოვილი ინფორმაცია სრულად ვერ მივიღეთ საჯარო უწყებებიდან და წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის, სხვა მსგავსი კვლევებისა და სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტების მეორად ანალიზს, რომელიც მოპოვებულია როგორც ღია წყაროებზე

დაყრდნობით, ასევე გამოთხოვილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და მისი სიპებიდან[6], საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, ასევე შერჩეული რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებიდან და მასში მდებარე შერჩეული მუნიციპალიტეტის მერიებიდან. სრულყოფილი ინფორმაცია არ მიგვიღია ახალციხის, ბორჯომის, დუშეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტებიდან. ძირითადად მივიღეთ ნაწილობრივი ინფორმაციები, ზოგიერთი წერილი კი არც იქნა პასუხგაცემული და შესაბამისი მიზეზიც არ მიუღია ,,საზოგადოება ბილიკს''.

დოკუმენტების შესწავლის და მეორადი ანალიზის დაწყების წინ, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია წინა ისტორიული რაკურსის მოკლედ მიმოხილვა შშმ პირებთან მიმართებაში, რადგან საქართველო ერთ-ერთ მოწინავე სახელწმიფოდ ითვლება საერთაშორისო თანამეგობრობაში, რომელიც შშმ პირების უფლებების დაცვის კუთხით აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონეზე და არსებული პოლიტიკის დოკუმენტების თუ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების რატიფიცირებას ახდენს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. პირველად საქართველომ 1995 წელს მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" რომელიც გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესების" იმპლემენტაციის მიზნით იქნა მიღებული. ამის შემდგომ კი 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია"-ის რატიფიცირება, რომელიც 2006 წელს დამტკიცდა და მას 177-ზე მეტი სახელმწიფო უჭერს მხარს. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების

[6] სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს ეთმობა, რათა გაიზარდოს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების პატივისცემა, ჩამოყალიბდეს დისკრიმინაციისა და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი გარემო. კანონპროექტი შშმ პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციასაც ითვალისწინებს. კერძოდ კი აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ორგანოების/დაწესებულებების ვალდებულება, გასცენ პერსონალური ასისტენტის მომსახურების სერვისი, აგრეთვე ხელი შეუწყონ შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო საინფორმაციო-საკონსულტაციო და სხვა მხარდაჭერის სერვისების დანერგვა-განვითარებას. მიუხედავად საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირების და საკანონმდებლო დონეზე აქტიური მუშაობისა, კვლევის განმავლობაში არსებული მსგავსი კვლევებიდან რიგი პრობლემები იკვეთება, რისი დასტურიც წყაროების გადამოწმების თუ საჯარო ინფორმაციის შესწავლის შემდგომ აშკარა ხდება და მტკიცდება კიდეც.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი პროექტის და კვლევის მიზანი არის შშმ პირების დასაქმების პრობლემების შესწავლა, მაინც მოგვიწევს გარკვეულ საკითხებთან შეხება, როგორიცაა მათი ღირსეული საცხოვრებელი პირობების შესახებ ინფორმაციის შეკრება, პენსიის და შრომის ბაზრის ინკლუზიურობა, ასევე საგანმანათლებლო გეგმისა და ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობა/ადაპტირებულობა.

საქართველოში UNCRPD-ის[7] რატიფიცირებიდან 7 წელი გავიდა, მიუხედავად ამისა, საქართველოში მცხოვრები შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის, განსაკუთრებით კი დასაქმების კუთხით, არსებითად არაფერი შეცვლილა, რადგან რეალური რეფორმა ამ კუთხით სახელმწიფოს არ გაუტარებია, თუ არ ჩავთვლით დასაქმების სააგენტოს მიერ შემუშავებულ რეფორმას, რომელსაც worknet.gov.ge-ის პლატფორმის მეშვეობით ავრცელებენ, თუმცა მისი ეფექტიანობა და შესაბამისობა შშმ პირების საჭიროებებთან მიმართებაში ვერ უზრუნველყოფს მდგრადობას და გრძელვადიანი შედეგების მოტანას. დღემდე არ არის შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასების სოციალური მოდელი, არ შექმნილა გაეროს კონვენციის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მექანიზმი, არ არსებობს შეზღუდული შესაძ ლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი სტატისტიკა და სხვა[8]. ასევე აღნიშნულ საკითხებზე ომბუდსმენის აპარატს არაერთი რეკომენდაცია აქვს მიწოდებული

[7] UNCRPD - აბრევიატურა - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

[8] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვეციის (UNCRPD) იმპლემენტაციის სარეკომენდაციო კონცეფცია, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2014 წელი, თბილისი.

სახელმწიფო უწყებებისთვის 2021 წელს[9].

საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით 2019 წელს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა 47 657 შეადგენდა, საიდანაც შშმ პირი იყო 89, ამავე წლის worknet.gov.ge-ს მონაცემების მიხედვით, სამუშაოს მაძიებლად 304 624 ადამიანი დარეგისტრირდა (იხ. ცხრილი #1).

ხელშეწყობის მონაცემები სერვისების მიხედვით:

სერვისის დასახელება	2018 წელი	2019 წელი
მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში	10	16
დასაქმების ფორუმი	10	19
საშუამავლო მომსახურება	11	22
მხარდაჭერითი დასაქმება	31	33
სტაჟირების კომპონენტი	13	16
სუბსიდირება	24	2

ცხრილი #1

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაციიდან ირკვევა, მაშინ როდესაც, შშმ პირების რაოდენობა ქვეყანაში 120 000 ადამიანს სცდება, დასაქმებულთა რაოდენობა საჯარო სამსახურში მხოლოდ 89 ადამიანს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ამ მხრივ კიდევ უფრო რთული სურათია რეგიონებში, სადაც დასაქმების კუთხით მუნიციპალიტეტებს უმეტეს შემთხვევებში არც კი აქვთ ინფორმაცია შშმ პირთა დასაქმების შესახებ (იხ. ცხრილი #2).

2019 წელს შემუშავდა და 31 დეკემბერიდან მუშაობა დაიწყო, 2020 წლის სახელმწიფო პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებს ახალ ან არსებულ თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას 50%-ის ოდენობით, არაუმეტეს თვეში 560 ლარისა, 4 კალენდარული თვის განმავლობაში. სუბსიდირების კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შრომის ბაზრის მართვის

[9] ნახვის დღე 28 ოქტომბერი, 2021 წელი; იხ. ბმული https://ombudsman.ge/geo/akhali ambebi/sakhalkho-damtsvelma-shezghuduli-shesadzleblobis-formis-nishnit-diskriminatsiis-aghmofkhvris miznit-sakartvelos-mtavrobas-rekomendatsiit-mimarta ; გამოქვეყნების თარიღი: 30 აგვისტო, 2021 წელი.

საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელ საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ: 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებს მოწყვლადი ჯგუფებიდან (დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს); სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფ და სახელმწიფოს ზრუნვიდან გამოსულ პირებს; ახალგაზრდებს, რომლებმაც სწავლა ნაადრევად შეწყვიტეს თანხის გადაუხდელობის გამო; ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლ ახალგაზრდებს, ადრეული ასაკიდან ქორწინებაში მყოფ ახალგაზრდა ქალებს;შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ან/და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და გამოხატავენ დასაქმების სურვილს.[10]

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, შშმ პირების დასაქმება საკმაოდ არამომგებიანია, რადგან ხშირად მათი ანაზღაურება არ შეესაბამება მათ საჭიროებებს, ამას ემატება ის ინფრასტრუქტურული თუ სოციალური ბარიერები, რისი გადალახვაც მათ ყოველდღიურად უწევთ და ანაზღაურების სახით მიღებული თანხა ვერ ფარავს მათ ყოველდღიურ საჭიროებებს, რის გამოც მათი ფინანსური მუშაობა არამომგებიანად ითვლება. შესაბამისად ეკონომიკური სარგებლის გასაზრდელად აუცილებელი და მნიშვნელოვანია განათლების რეფორმის განხორციელება, ინკლუზიური და ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, სასწავლო პროგრამების ინკლუზიურობის ზრდა, სამუშაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და თვითმმართველობების მხრიდან ეკონომიკური ჩართულობის გაზრდა, რათა მოხდეს ხელშეწყობა და თანასწორი გარემოს შექმნა შშმ პირებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია გარკვეული სახელმწიფო პროგრამების შემუშავება კერძო ბიზნესებთან მიმართებაში, საგადასახადო თუ კომუნალური შეღავათებით სარგებლობის და სხვადასხვა მიმართულებით, რათა გაიზარდოს დაინტერესება შშმ პირების დასაქმებისა კერძო კომპანიებში. სახელმწიფო დონეზე კი სამწუხაროდ არ/ვერ ხერხდება დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ხარისხის კონტროლი და უფრო მეტიც, საჯარო სამსახურის ბიუროდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე, თუ რა ვაკანსიები აქვთ მათ შშმ პირებისთვის და რა ხელშემწყობი პროგრამები, პასუხად მივიღეთ რომ ცალკე გამოყოფილი ვაკანსია ან პროგრამა შშმ პირების დასაქმებისათვის მათ არ აქვთ და არ განასხვავებენ მათ[11], ერთადერთი მოთხოვნა სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე

[10] საქართველოს ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაცია, კვლევა ,,გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტები, 2020 წელი.
[11] წერილის ნომერი: ,,გ12153" 5 ნოემბერი 2021 წელი

არსებობს მხოლოდ და ეს მაშინ, როდესაც შშმ პირების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია, ან არ აქვს შესაბამისი განათლება და სამუშაო გარემო არ არის ადაპტირებული მათი საჭიროებებისთვის. შესაბამისად, სახელმწიფო თუ კერძო სექტორში შშმ პირების დასაქმება ხშირად მხოლოდ კამპანიების ნაწილია და მოკლევადიან შედეგზეა ორიენტირებული, ვიდრე გრძელვადიან და ღირსეულ, თანასწორობაზე დაფუძნებულ დასაქმებაზე. აღნიშნულ პრობლემას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც შშმ პირების დასაქმების და თანასწორობისთვის იქმნება, იქმნება მათი, ექსპერტებისა და შშმ პირებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გარეშე, რაც იწვევს იმ რიგ პრობლემებს, რაც აღნიშნულია წინამდებარე მიმოხილვაში.

დასაქმების მაჩვენებელები მუნიციპალიტეტების მიხედვით 2021 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით.

მუნიციპალიტეტები	გორი[12]	ხაშური[13]	მცხეთა[14]	დუშეთი[15]	ახალციხე	ბორჯომი
დასაქმებულთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში	6	0	4	1	ინფორმაცია არ არის	ინფორმაცია არ არის
დასაქმებულთა რაოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში	9	4	10	0	ინფორმაცია არ არის	ინფორმაცია არ არის

ცხრილი #2

ცხრილიდანაც იკვეთება და წინამდებარე ანგარიშშიც არაერთხელ აღინიშნა ის

[12] წერილის ნომერი: 20-2021329173, 25 ნოემბერი, 2021 წელი, წერილის ნომერი: 20-2021355102, 21 დეკემბერი, 2021 წელი

[13] ვერბალური კომუნიკაციის საშუალებით მივიღეთ აღნიშნული ინფორმაცია 9 იანვარს 2022 წელს. [12] წერილის ნომერი: 34-3421336151, 2 დეკემბერი, 2021 წელი

[14] წერილის ნომერი: 10/31354, 25 ნოემბერი, 2021 წელი

[15] წერილი ნომერი: #04/11673, 29 ნოემბერი 2021 წელი

პრობლემები, რაც სახელმწიფო უწყებებს ინფორმაციის არ ფლობის გამო აქვთ. რაც არ უნდა მოწინავე სახელმწიფო ვიყოთ საერთაშორისო თანამეგობრობაში, ცხრილი #3 ნათლად გვიჩვენებს არსებულ რეალობას, კერძოდ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია მასში დასაქმებული შშმ პირების რაოდენობის შესახებ, ასევე საგანმანათლებლო უწყებებში დასაქმებულებზე, დახმარების გაცემის კუთხით და ა.შ. ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომელმაც სრულყოფილად მოგვაწოდა ინფორმაცია, იყო გორის მუნიციპალიტეტი, სხვა მუნიციპალიტეტებიდან ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ მივიღეთ ინფორმაცია, მიუხედავად რამდენიმეთვიანი ლოდინისა. უშუალოდ შშმ პირთა რაოდენობის და დახმარების კუთხით, სრულყოფილი ინფორმაცია მოგვაწოდა სოციალური მომსახურების სააგენტომ.

სახელმწიფო დახმარების მიმღებთა სტატისტიკა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით[14]

რეგიონი	**სულ**	**მამრობითი**	**მდედრობითი**
შიდა ქართლი	9 594	6 024	3 570
მცხეთა-მთიანეთი	2 915	1 853	1 062
სამცხე-ჯავახეთი	4 781	3 002	1 779
მუნიციპალიტეტი	**სულ**	**მამრობითი**	**მდედრობითი**
გორი	4 379	2 777	1 602
ხაშური	2 363	1 413	950
მცხეთა	1 442	907	535
დუშეთი	818	527	291
ახალციხე	1 193	724	496
ბორჯომი	1 003	685	328

ცხრილი #3

საგანმანათლებლო პროცესებს და რეფორმებს რაც შეეხება, ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლიდით, გამომდინარე იქიდან, რომ პირდაპირკავშირშია შშმ პირთა დასაქმებისა და სამომავლო ეკონომიკური კეთილდღეობის კუთხით, შშმ პირთა დასაქმებასა და სამომავ ლო ეკონომიკურ კეთილდღეობასთან, შესაბამისად მნიშნელოვანია გაანალიზდეს ის საგანმანათლებლო რეალობა, რაც შშმ პირთა მიმართ დგას, იქნება ეს ინკლუზიური განათლება, ეროვნული სასწავლო გეგმა თუ ადაპტირებული გარემო, როგორც საჯარო სკოლებში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საგანმანათლებლო პროცესთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ სიტუაცია გაცილებით გაუმჯობესებულია ბოლო წლებში და მისი განვითარება პროგრესირებს დადებითობისკენ, თუმცა საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა ინფორმაციის მიღების და გაანალიზების შედეგად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცდა

ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირების მექანიზმი, თუმცა ჯერ კიდევ მოსაგვარებელია შშმ პირთა ზოგადი განათლების საკითხი. საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აუდიო და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და ა.შ. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური პედაგოგების რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე სპეციალიზებული სკოლების არსებობა, რაც არ შეესაბამება გაეროს კონვენციის მოთხოვნებს. არ არის ჩამოყალიბებული უწყებათშორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები, რაც შშმ ბავშვების შესახებ გაცვლიან ინფორმაციას, სამედიცინო, საგანმანათლებლო სკოლის მიტოვების საპრევენციო და სხვადასხვა უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ვერ მუშაობს სტატისტიკის სამსახურები, კვლავ არასრულია შშმ პირთა და განსაკუთრებით ბავშვთა სტატისტიკა, კერძოდ კი საგანმანათლებლო დაწესებულების მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა მონაცემები. აღნიშნული ართულებს შესაბამისი აქტივობებისა თუ პროგრამების დაგეგმარებას და მის იმპლემენტაციას.

უმაღლეს განათლებას რაც შეეხება, ზოგად განათლებასთან შედარებით, რთული ვითარებაა საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრის კუთხით. არსებული კანონ მდებლობა სრულად არ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების უფლებას განათლების უმაღლეს საფეხურზე. ერთადერთი, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონშია მითითებული, არის ის, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის პირობების შექმნაზე“, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის“. უმაღლესი განათლების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს მოსაწესრიგებლად რაიმე კონკრეტული ძალისხმევა ჯერჯერობით არ გაწეულა.[16]

შშმ პირთა განათლება პირდაპირ კორელაციურ[17] კავშირშია მათ დასაქმებასთან და სამომავლოდ ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. განათლების სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძოდ კი უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლებლებში არსებულ გამოწვევას შშმ პირთა განათლების კუთხით, რადგან

[16] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტები, თბილისი 2020

[17] ტერმინი ,,კორელაცია“ - კავშირი ორ ცვლადს შორის.

სწავლების ამ მეორე აკადემიურ საფეხურზე საკმაოდ დაბალია შშმ პირების მობილობა, მიუხედავად იმისა, რომ საბაზო და საშუალო განათლების მიღების კუთხით, მაღალია ბენეფიციართა ჩართულობა.[18]

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 6-18 წლის სსსმ/შშმ მოსწავლეების რაოდენობა. 2021-22 სასწავლო წელი

რეგიონი	სსსმ/შშმ მოსწავლეები
აფხაზეთი	49
აჭარა	998
გურია	429
თბილისი	3 685
იმერეთი	1 388
კახეთი	1 006
მცხეთა-მთიანეთი	263
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	63
სამეგრელო-ზემო სვანეთი	752
სამცხე-ჯავახეთი	283
ქვემო ქართლი	1 040
შიდა ქართლი	634
სულ	**10 590**

ცხრილი #4

საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული პროგრამების 18-30 წლის სსსმ სტუდენტების რაოდენობა. 2021 წლის ნოემბერი

რეგიონი	სსსმ სტუდენტები
აჭარა	26
გურია	5
თბილისი	89
იმერეთი	12
კახეთი	12
მცხეთა-მთიანეთი	1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	14
სამცხე-ჯავახეთი	3
ქვემო ქართლი	10
შიდა ქართლი	4
სულ	**179**

[18] წერილის ნომერი: MES 2 21 0001251780, 22 ნოემბერი, 2021 წელი

ცხრილი #5

აღნიშნული სტატისტიკიდან ნათლად იკვეთება, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შშმ პირთა მხოლოდ 1 % აგრძელებს სწავლას, რაც თავისთავად სხვადასხვა სოციალურ პრობლემებთან ერთად, მიანიშნებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზე. აღნიშნული ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს და ამ ეტაპზე სამაგიდო კვლევის ფარგლებში ვერ ხერხდება ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

სამაგიდო კვლევამ საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთა ყველა ის გამოწვევა შშმ პირთა დასაქმების სფეროში, რაც რეალურად დგას საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების აღსრულების კუთხით. აღნიშნული სფეროს კვლევისას გამოიკვეთა, რომ გვხვდება მკვდარი კანონები, კანონი რომელიც არსებობს, მაგრამ არ მუშაობს.
გამოიკვეთა საქართველოს, როგორც ქვეყნის, საერთაშორისო დონეზე წარმატებული მუშაობა და მიღწევები. ეროვნულ დონეზე ერთის მხრივ სასიხარულოა, როდესაც გამართული საკანონმდებლო ბაზა არსებობს, თუმცა მეორეს მხრივ მისი ვერ მუშაობა წარმოადგენს მთავარ გამოწვევას, რადგან კანონის არ მუშაობა გავლენას ახდენს სხვა სფეროებზე, მაგალითად დასაქმება, განათლება, თანასწორობა, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები და ა.შ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობა, რადგან კანონი ცვლის და პოზიტიური ცვლილებების მოტანა შეუძლია შშმ პირთა

დასაქმების და მათი გაძლიერების მიმართულებით. დასკვნით ნაწილში ასევე გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც ჩვენს მიერ არის შემუშავებული, ასევე ცალკე ქვეთავად სხვა სამაგიდო კვლევებიდან ამოღებული რეკომენდაციები ერთვის თან, რომელიც ანალოგიურად შშმ პირთა დასაქმების გამოწვევებს იკვლევდა საქართველოში საკანონმდებლო ბაზაზე.

სამაგიდო კვლევის რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ უზრუნველყოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტის მომზადება, რომელიც კერძო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების შემთხვევაში საგადასახადო შეღავათების შემოღებას განსაზღვრავს.
- განისაზღვროს მარეგულირებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შშმ

პირთა დასაქმებისა და ინტეგრაციის საკითხზე;

- გადაიხედოს შშმ პირთა სამედიცინო დაზღვევის მომსახურების ხარჯები, სახეობები და შეიქმნას მათზე მორგებული სადაზღვევო პაკეტი;
- მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნა;
- მუნიციპალიტეტებმა შექმნან სტატისტიკური მონაცემები შშმ პირების შესახებ და შეიქმნას ერთიანი ბაზა, სადაც იდენტიფიცირება და მათთან დაკავშირება იქნება შესაძლებელი;
- შშმ პირთა დასაქმების წახალისებისთვის შეიქმნას მუნიციპალური და ეროვნული პროგრამები, რომლებიც გრძელვადიან შედეგზე იქნებიან ორიენტირებულები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბრაილის შრიფტის მქონე სახელმძღვანელოების გადაცემა და ჟესტური ენის მცოდნე პედაგოგების დასაქმება.
- კერძო კომპანიებში ადაპტირებული სივრცის მოწყობის რეგულირება და მისი კონტროლი მუნიციპალიტეტის ან სხვა რომელიმე პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან.
- მოხდეს საგანმანათლებლო სივრცეების ადაპტირება, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის, რათა შეძლონ თავისუფლად გადაადგილება საგანმანათლებლო ტერიტორიაზე;
- სხვა სამაგიდო კვლევის რეკომენდაციებია:
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უფლება აქვთ ხელი მიუწვდებოდეთ და სრულყოფილად და თანასწორობის საფუძველზე სარგებლობდნენ ადამიანის უფლებებით;
- დაცული უნდა იყოს მათი უფლებები სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიმართულებით;
- საჭიროა მუდმივი ყურადღება და მუშაობა შშმ პირთა უფლებების დასაცავად; · ყველა ასაკის შშმ პირის აქტიური ჩართულობა და მათთან მჭიდრო კონსულტაციები, მათივე უფლებების დამცველი ორგანიზაციების ჩართულობის გზით სავალდებულოა;
- ხელი უნდა შეეწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- შშმ პირთათვის გაუმჯობესდეს ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, განათ ლებასა და გადამზადების პროგრამებზე და ადამიანის უფლებების და მათი დაცვის ღონისძიებებზე. შშმ პირთა ინკლუზიურობის ხელშეწყობა;
- ხელმისაწვდომობა, როგორც ეს განსაზღვრულია UNCRPD-ში (მუხლი 9) არის წინაპირობა შშმ პირთათვის, რომ შეძლონ აქტიურად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით, მონაწილეობა მიიღონ და წვლილი შეიტანონ სრულად და თანაბრად საზოგადოებაში, იყვნენ დამოუკიდებლები და გააკეთონ არჩევანი ცხოვრების ყველა ასპექტთან დაკავშირებით;

- ინფორმაციაზე წვდომა - გაიზარდოს წვდომა ინფორმაციასა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე.[19]

ფოკუს ჯგუფი

ფოკუს ჯგუფი კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა 1 დეკემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით. სულ ჩატარდა ოთხი ფოკუს დისკუსია, რომელში მონაწილეობაც 24-ზე მეტმა შშმ პირმა და 8 მშობელმა შეძლო სამი რეგიონიდან. ფოკუს შეხვედრების მთავარი მიზანი იყო, მათგან დეტალურად მოგვესმინა სამაგიდო კვლევაში გამოვლენილ პრობლემებზე და არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია, როგორია დასაქმების შესაძლებლობები ბაზარზე, რამდენად არის მოთხოვნადი შშმ პირთა სამუშაო ძალა, რა უნარებს ფლობენ და როგორ მუშაობენ ისინი. ასევე დამატებით გვქონდა დისკუსია საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ადაპტირებულ გარემოზე, რაც დასაქმების მთავარი წინაპირობაა. ფოკუს ინტერვიუები საშუალოდ 2 საათს გრძელდებოდა და თითო ჯგუფი შედგებოდა ერთი რეგიონის

[19] ადამიანის უფლებების: რეალობა ყველასთვის - ევროპის საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტრატეგია 2017-2023; თბილისი 2016 წელი.

წარმომადგენლებისგან, ორი სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, შიდა ქართლი - გორი, ხაშური; სამცხე-ჯავახეთი - ახალციხე, ბორჯომი; მცხეთა-მთიანეთი - მცხეთა, დუშეთი. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ონლაინ პლატფორმა ზუმის მეშვეობით, რომელიც იძლეოდა ვიზუალური კონტაქტით რესპონდენტებზე დაკვირვების საშუალებას.

ფოკუს ჯგუფის დასაწყისში რესპონდენტებს კვლევის მიზნების და საკუთარი თავის გაცნობის შემდგომ ვეკითხებოდით, მანამდე თუ ყოფილან რაიმე კვლევის მონაწილეები, როგორც ფოკუს ჯგუფის, ასევე სხვა ფორმით ჩართულნი, მუნიციპალურ ან ეროვნულ დონეზე და თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ არასდროს არავისი მხრიდან არ ყოფილან არანაირი კვლევის მონაწილეები, მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი იყო, რომელიც სხვა, არათემატური კუთხით იყო სხვა კვლევის რესპონდენტი. ამის შემდგომ, ბენეფიციარებს ეროვნულ და გაეროს სტრატეგიის დოკუმენტებზე ვკითხეთ, რომლებიც შშმ პირთა უფლებებს და თანასწორობას ეხება, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჰქონდა ამის შესახებ გაგებული, მაგრამ ცოდნა მისი ზოგადი შინაარსის შესახებ არც ერთ მათგანს ჰქონია. - ,,ნაწილობრივ ვიცნობ გაეროს და ეროვნულ სტრატეგიებს, თუმცა ყველაფერი მაინც მხოლოდ ქაღალდზე რჩება და არაფერი შედეგი აქვს“ (ფოკუს ჯგუფი #1) - რაც სამწუხარო რეალობაა, რადგან შშმ პირებს არ აქვთ ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ, რაც ამ ჯგუფს, კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის, ხოლო საკუთარი უფლებების არცოდნა იწვევს იმ რიგ პრობლემებს, რომლებიც დღეს მათ წინაშე დგას და თუ თავად, მათი ჩართულობით არ მოხდა იმ რეფორმების გატარება, რაც მათ ყოველდღიურობას გააუმჯობესებს, საკმაოდ რთული იქნება მოკლე პერიოდში მდგრადი შედეგის მიღება.

დისკუსიის შემდგომი ბლოკი შეეხებოდა უშუალოდ მუნიციპალურ და სახელმწიფო პროგრამებს, მათ ყურადღებას და ადაპტირებულ გარემოს, როგორც ზოგადად შენობების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებისა. თავდაპირველად რესპონდენტების უმრავლესობა, შეკითხვაზე თუ რა პროგრამები აქვთ მუნიციპალიტეტს ან სახელმწიფოს მათთვის, ამბობდნენ, რომ არაფერი არ აქვთ, თუმცა შემდგომ დისკუსიაში უკვე ასახელებდნენ ისეთ პროგრამებს, როგორიცაა სახელმწიფო პენსია და საყოველთაო დაზღვევა. ამ უკანასკნელზე საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ, რადგან დაზღვევა მხოლოდ ოპერაციებს აფინანსებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სპეციფიკური ჯგუფი არიან და მათ გაცილებით ხშირად ესაჭიროებათ სარეაბილიტაციო და მედიკამენტური მკურნალობის კურსები, რაც საკმაოდ მაღალანაზღაურებადი მომსახურებაა მათთვის

და თვეში 150 ლარიდან 300 ლარამდე[20] პენსია არ ყოფნით მკურნალობასა და საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფარდ - ,,ოჯახში მხოლოდ პენსია და სოციალურად დაუცველის დახმარება გვაქვს, რაც ძირითად საჭიროებებშიც კი არ გვყოფნის... საარსებო მინიმუმზეც კი არ არის საუბარი, რადგან მშობლებიც ვერ მუშაობენ ჩემს გამო, ხშირად მჭირდება დახმარება გადაადგილების და თავის მოვლის მხრივ, ამიტომ სხვა შემოსავალი ოჯახს თითქმის არ აქვს“ (ფოკუს ჯგუფი #1), - სარეაბილიტაციო პროგრამებს რაც შეეხება, მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ გააჩნიათ აღნიშნული სამედიცინო ცენტრები, რაც შშმ პირებისთვის სირთულეს წარმოადგენს, რადგან ხშირად აუცილებელია თბილისში ვიზიტი, რომელიც საკმაოდ სოლიდური თანხა უჯდებათ მათი შემოსავლებიდან გამომდინარე. დახმარებების და ზრუნვის მხრივ, მუნიციპალიტეტების ნაწილს არანაირი პროგრამა არ გააჩნიათ თუ არ ჩავთვლით რელიგიურ ან საერო დიდ დღესასწაულებზე ერთჯერადად პროდუქტებით დახმარებას შშმ პირების, ხოლო ერთ მუნიციპალიტეტს (იგულისხმება ახალციხის მუნიციპალიტეტი) აქვს 35 ლარიანი დანამატი პენსიაზე ყოველთვიურად[21]. ასევე 3 თვეში ერთხელ პროდუქტებით დახმარება შშმ პირების. - ,,მერიის დახმარება არის, 35[20] ლარს მირიცხავენ პენსიაზე ყოველთვიურად და პროდუქტებით 3 თვეში ერთხელ ... პენსია იმდენად სამარცხვინოა, რომ არ გვყოფნის მინიმალურ საჭიროებებზეც კი, 140 ლარი თვეში არ არის საკმარისი ... 35 ლარიან დახმარებას ზოგი იღებს და ზოგი ვერ ღებულობს, რადგან აქაც გარკვეული კრიტერიუმებია საჭირო მის მისაღებად“ (ფოკუს ჯგუფი #1) - მუნიციპალიტეტების უმრავლესობას აქვს ასევე დღის ცენტრები, რომელთა შენახვაც მუნიციპალური ბიუჯეტიდან ხდება, რაც გულისხმობს დღის მანძილზე შშმ პირების საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაფინანსებას, მათ ტრანს პორტირებას სახლიდან ცენტრში და უკან, კვება, დასვენება და ა.შ. გორის მუნიციპალიტეტში შშმ პირების დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის წელიწადში ერთხელ ზღვაზე დასვენების პროგრამაც გამოკვეთეს რესპონდენტებმა. თუმცა არიან მუნიციპალიტეტები, სადაც არ აქვთ დღის ცენტრი და შშმ პირები მოკლებულნი არიან იმ სერვისებს, რასაც სხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებნი ღებულობენ. დახმარებების კუთხით, მნიშნელოვანია, რომ შეფასდეს ინდივიდუალური საჭიროებებიც, რადგან ის პენსია, რაც ამჟამად აქვთ შშმ პირებს, როგორც აღინიშნა, არაა საკმარისი საარსებო მინიმუმისთვისაც კი და შესაბამისად, სამართლიანი იქნება თუ პენსია სტატუსის მიხედვით კი არა, არამედ საჭიროების მიხედვით განისაზღვრება.

[20] პენსია განისაზღვრება სტატუსის და ჯგუფის მიხედვით, ასევე მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ პირებს აქვთ დანამატი პენსიაზე.
[21] 35 GEL = 11 $

რაც შეეხება უშუალოდ ადაპტირებულ გარემოს, აქ სიტუაცია თითქმის ერთგვაროვანია ყველა მუნიციპალიტეტში, ტროტუარები არ არის ადაპტირებული და თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ნაკლებია, საჯარო შენობების ნაწილს პანდუსები აქვთ, მაგრამ დამოუკიდებლად რთულია სარგებლობა, ასევე კერძო შენობების მხოლოდ ნაწილს აქვს პანდუსები - ,,მერიაც და საკრებულოც ადაპტირებულია პანდუსებით, მაგრამ დამოუკიდებლად ასვლას მაინც ვერ ვბედავ, რადგან დაცვის მეტი საშუალებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, ვისურვებდი სხვებიც იყოს ამ მხრივ ... საჭიროა სხვა შენობებიც იყოს ასე პანდუსებით ადაპტირებული ... პანდუსების დაყენებისას საჭიროა შშმ პირებთან ერთად მიმდინარეობდეს სამუშაოები, მათი ჩართულობით და საჭიროებების გათვალისწინებით, რომ სწორად გაკეთდეს პანდუსები" (ფოკუს ჯგუფი #3) - ანალოგიური სურათი გვესახება საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, სადაც ბავშვს დამოუკიდებლად სარგებლობა პანდუსით არ შეუძლია, ხოლო თუ შეძლებს, შემდგომ კარებები არ არის ადაპტირებული, რაც დამოუკიდებლად გადაადგილებას ართულებს. - ,,გასულ ზაფხულს მე-12 კლასში გამოცდის წერა მომიწია და სკოლა რომ არი იყო ადაპტირებული, არ ჰქონდა პანდუსი და ლიფტი, ეზოში ჩამომიტანეს მაგიდა და იქ ვწერე გამოცდა" (ფოკუს ჯგუფი #3) - თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაზეც გამახვილდა ყურადღება და რესპონდენტთა ნაწილი კმაყოფილი იყო სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამის და მათგან ვინც კმაყოფილი იყო პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებლებშიც ჰქონდათ სწავლა გაგრძელებული, მაგრამ ეს ძირითადად გორის მუნიციპალიტეტში ხდებოდა, სხვა შემთხვევაში დიდწილად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ და აღნიშნავდნენ, რომ სასკოლო საგანმანათლებლო გარემო ვერ უზრუნველყოფდა შშმ ბავშვების განვითარების შესაძლებლობას ანალოგიურად დადებითი შეფასებები გაკეთდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტზე - ,,კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში რეგიონში ამ მხრივ კარგი სიტუაციაა და ადაპტირებულია, თუმცა სკოლებში პრობლემა ისევ დგას დღეს,

მხოლოდ რამდენიმე სკოლა არის ადაპტირებული თითო მუნიციპალიტეტში, თუმცა სრულად ადაპტირებული სკოლები ძალიან მცირეა ... არის დისკრიმინაციული დამოკიდებულება სკოლებში შშმ და სსმ ბავშვებთან მიმართებაში ხშირად, ასევე ხშირია როდესაც თავად მშობლები აპროტესტებენ შშმ ბავშვების განათლების მიღებას სკოლებში, რის მიზეზადაც მათი შვილების საგანმანათლებლო პროცესში ხელშეშლას ასახელებენ და ამბობენ, რომ მათი შვილებისთვის სტრესია სსმ და შშმ ბავშვების გვერდით სწავლა, რაც მიმღებლობის კუთხით ძალიან დიდ პრობლემებს ქმნის ... სკოლებს მიუხედავად იმისა, რომ პანდუსები აქვს, სხვა მხრივ არაა ადაპტირებული, მაგალითად ვერ ადიხარ სხვა სართულებზე, საპირფარეშოს ვერ იყენებს, რადგან არ

არის ადაპტირებული, ეროვნული გეგმა ყოველთვის ვერ იძლევა განვითარების საშუალებას და ეს პრობლემები დგას სკოლაში დღეს-დღეობით" (ფოკუს ჯგუფი #4) - მიუხედავად რიგი პრობლემებისა, რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ საბოლოო ჯამში და დადებითად აფასებდნენ უნივერსიტეტის შრომას. ასევე გამოიკვეთა კოლეჯი ოპიზარი, რომელიც ერთ-ერთი ნათელი წერტილია შშმ პირებისთვის ახალციხის მუნიციპალიტეტში და ზოგადად როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალური კოლეჯები ადაპტირებულია და საშუალებას იძლევა შშმ პირებისთვის, რომ თანასწორ გარემოში მიიღონ განათლება. საერთო ჯამში ადაპტირებული გარემოს მხრივ, საკმაოდ დიდი გამოწვევაა, რადგან ერთის მხრივ სკოლაში იწყება რიგი ხელშემშლელი პრობლემები, რაც შშმ ბავშვის შესაძლებლობების რეალიზებას აფერხებს და შემდგომ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შეფერხებას იწვევს და აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე მათი დასაქმების და შრომითი შესაძლებლობების რეალიზების კუთხით, რასაც ემატება კერძო თუ საჯარო შენობების ხშირ შემთხვევაში ნულოვანი ადაპტირებულება, რადგან მხოლოდ ნაწილობრივ გაკეთებული პანდუსი არ არის საკმარისი და საჭიროა კარებების, ლიფტების, სველი წერტილებისა და სამუშაო გარემოს მოწესრიგებაც. ცალკე გამოწვევად რჩება მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც მათ უმრავლესობას არ ჰყავს და დამატებითი ნეგატიური ინდიკატორია შრომის ბაზარზე შშმ პირთა დასაქმების კუთხით.

ფოკუს დისკუსიის შემდგომი ბლოკი, უკვე ძირითად საკვლევ საკითხს შეეხებოდა, სადაც უშუალოდ დასაქმების და მათი სამუშაოს მოძიების კუთხით გამოცდილების გაზიარებას შეეხებოდა. კვლევაში ყველაზე უმცროსი რესპონდენტი 21 წლის იყო, ხოლო ყველაზე უფროსი 57 წლის, შესაბამისად უმეტეს მათგანს ჰქონდა სამუშაო უნარები, მიუხედავად მათი სხვადასხვა სახის შეზღუდვებისა, შესაბამისად როდესაც მათ ვკითხეთ ბოლო 2 წლის მანძილზე თუ უცდიათ სამუშაოს მოძიება, ½-მა გვითხრა რომ აქტიურად ცდილობდა სამუშაოს მოძიებას, რისთვისაც მათი ნაწილი სხვადასხვა ვაკანსიებს პერიოდულად ათვალიერებდა, ზოგი მათგანი კი დასაქმების ფორუმის მონაწილეც იყო. რაც შეეხება მეორე ნახევარს, მათი უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ სამუშაოს ძებნაზე ფიქრი დიდი ხანია აღარ აქვს, რადგან ვერ შოულობენ შესაბამის სამსახურს, ხოლო თუ ნახულობენ ან გარემო არ არის ადაპტირებული, ან დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო იძულებულები არიან დატოვონ სამუშაო და/ან ანაზღაურება იმდენად მცირეა, რომ მის გადაადგილების ხარჯებს ვერ ფარავს და არ უღირთ მუშაობა - ,,ცოტახნით ვიყავი დასაქმებული, მაგრამ წამოვედი,

არ იყო ადაპტირებული სამუშაო გარემო და რთული იყო მუშაობა" (ფოკუს ჯგუფი #1), ,,სამუშაოების ძირითადი ნაწილი დედაქალაქშია თავმოყრილი, ახლა მე რომ ჩემი სოფლიდან წავიდე, იქ ბინა უნდა ვიქირაო, მეზრდება ცხოვრების ხარჯები, ამას ემატება ტრანსპორტირების ხარჯიც და ის 700-800 ლარიანი სამსახური აღარ მიღირს, რადგან ძირითადად იქ ცხოვრების ხარჯებში წამივა ისევ ის თანხები, რასაც გამოვიმუშავებ და შეიძლება არც კი მეყოს ... მე ვმუშაობდი თბილისში, მაგრამ აღებული ხელფასი ცხოვრების და მედიკამენტების ხარჯშიც კი არ მყოფნიდა, ამიტომ ისევ სოფელში დავბრუნდი ჩემს მშობლებთან ... რამდენიმე თვე ვიმუშავე ერთ-ერთ კერძო კომპანიაში, მაგრამ ყოველდღიურად რთული იყო მუშაობა არაადაპტირებულ გარემოში, ტაქსი მჭირდებოდა გადასაადგილებლად, ზოგჯერ ეტლით რომ ვიყავი მომსახურებაზე უარსაც მეუბნებოდნენ, ეს ხშირად მაგვიანებდა სამსახურში, ასევე თვითონ სამუშაო სივრცეც არაადაპტირებული იყო და ვერ ვგრძნობდი თავს კომფორტულად" (ფოკუს ჯგუფი #2)- შესაბამისად, დასაქმების პერსპექტივები, რაც არსებობს შშმ პირებისთვის, ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი, სადაც ცხოვრებას გაცილებით მეტი ხარჯი აქვს, ვიდრე მათი შრომითი ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი იქნებოდა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი კვლავ თვითდასაქმება რჩებათ უმეტეს შემთხვევაში ,,ბევრს ხომ არ ვითხოვთ, თუნდაც მუნიციპალიტეტმა გამოყოს მცირე თანხები, ან თქვენ ენჯეო სექტორმა[22], რომ რაღაცა, თუნდაც ერთი საკერავი მანქანა რომ უყიდოთ და შეძლოს ბავშვმა თავისი ხელსაქმით მუშაობა და ნამუშევრების გაყიდვა. აი ხშირად არის ხოლმე წეროვნის სოციალური საწარმოს მაგალითიც მედიაში, რომ 700 თუ 800 ლარით დაიწყეს სოციალური საწარმოს მუშაობა და დღეს 15-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავთ, ხომ შეიძლება ასეთი სოციალური საწარმოების დაფინანსებები, მცირე გრანტების გამოყოფა ხდებოდეს. თუნდაც სწავლება, როგორ დავწერონ პროექტები, ან გეგმები და მოგვეხმაროთ ამ ფინანსების მოძიებაში (შშმ ბავშვის მშობელი) ... ბევრად მარტივი იქნება თუ რაიმე საწარმოში შეგვეძლება ბავშვებს (შშმ პირებს) და მშობლებს ერთად მუშაობა, რადგან ხშირად დამოუკიდებლად ჩვენი შვილები ვერ მუშაობენ და ჩვენც მივეხმარებით მათ, ან ისეთი სამუშაო იყოს, რომ დამხმარე თუ დასჭირდება მის გვერდით ვიქნებით და ჩვენც რაიმე საქმეს გავაკეთებთ და ამით საწარმოც ისარგებლებს, ევროპაში საკმაოდ წარმატებული მსგავსი მაგალითებია და კარგად მუშაობს" (ფოკუს ჯგუფი #4) - მცირე სამეწარმეო გრანტები და დაფინანსებები ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და საკუთარი უნარების გამოყენებით შეძლებენ ეკონომიკურ საქმიანობას, რაც დადებითად იმოქმედებს, როგორც მათი სოციალიზაციის პროცესზე, ასევე გაზრდის

[22] იგულისხმება სამოქალაქო საზოგადოება (NGO - არსამთავრობო ორგანიზაცია) [22] იგულისხმება 18+ ახალგაზრდები

მათ თავდაჯერებულობასაც და შეძლებენ ყოველდღიური ყოფის ზოგადი ფონის გაუმჯობესებას, რადგან ხშირად მცირე დაფინანსებით წამოწყებული საქმე, სოციალურ საწარმოდ გადაქცეულა და გარდა საკუთარი თავის, სხვა ადამიანებიც დასაქმებულან საწარმოში. Worknet.gov.ge-ს პლატფორმას რაც შეეხება, მხოლოდ 1/3-მა იცოდა მის შესახებ, თუმცა როგორც თავადაც აღნიშნავდნენ ,,გამოცხადებული ვაკანსიები ხშირად შეუსაბამოა ჩვენს შესაძლებლობებთან, რადგან მოგვდის შეტყობინება მიმტანის, მშენებლობაზე მუშაობის და მსგავსი შეუსაბამო ვაკანსიების შესახებ, მაშინ როდესაც მაქვს ფიზიკური შეზღუდვა და მიჭირს გადაადგილება, მსგავსი ვაკანსია ჩემთვის შეუსაბამოა, თუმცა შემიძლია კომპიუტერთან მუშაობა, ვიცი საოფისე პროგრამები, ქოლ ცენტრშიც მიმუშავია და ასეთი ტიპის სამუშაოები გაცილებით მარტივია ჩემთვის ... ფორუმზეც ვიყავი, რომელიც ვორქნეტმა მოაწყო, მაგრამ ფორმალობა იყო მთლიანად, რეალურად არსებულ ვაკანსიებზე ვერ შევძელი დასაქმება, ან უკვე შევსებული იყო ადგილი სადაც დამაინტერესა მუშაობამ“ (ფოკუს ჯგუფი #3). სახელმწიფო პროგრამის, რომელიც ხელფასის 50%-ის თანადაფინანსებას გულისხმობს, მონაწილე ბენეფიციარიც შეგვხვდა რამდენიმე, მაგრამ როგორც თავად აღნიშნეს, პროგრამის დასრულების შემდგომ, დამსაქმებელმა შეუწყვიტა ხელშეკრულება და 3 თვიანი მუშაობის დასრულების მერე კვლავ სამსახურის გარეშე დარჩნენ.

შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების მიუხედავად, საინტერესო იყო მათი გადამზადების პროგრამებში ჩართულობა, კერძოდ, თუ ფლობენ ისეთ უნარებს, რაც დღესდღეობით შრომის ბაზარზე დამსაქმებლების მიერ არის მოთხოვნადი და რომელი უწყებები ზრუნავენ მათი უნარების განვითარებაზე - შედეგად აბსოლუტურმა უმრავლესობამ სახელმწიფო მონაწილეობა გამორიცხა ამ პროცესებში, მხოლოდ ორმა შშმ სტუდენტმა გაუსვა ხაზი უნივერსიტეტის მხარდაჭერას და სტაჟირების გავლაში ხელშეწყობას, ხოლო უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან სხვა რაიმე ხელშეწყობა ვერავინ გაიხსენა. მცირე ნაწილმა - 1/3-მა სამოქალაქო სექტორი აღნიშნა, თუმცა აქაც მხოლოდ თეორიული ცოდნის გაძლიერებას მოიცავდა შეხვედრები და პრაქტიკული უნარებისას ნაკლებად, ან შემდგომ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა აღარ ახლდა თან. ერთადერთი შესაძლებლობა მხოლოდ დღის ცენტრები იყო, სადაც რეალურად რესპონდენტების

ნაწილი ფიზიკურად მუშაობს, ეუფლება სხვადასხვა უნარებს და აუმჯობესებს არსებულს. ძირითადი სამუშაო უნარები ფიზიკურ მუშაობაზე მოდის - ქარგვა, ხატვა, კერამიკის და თიხის ნაწარმის შექმნა, ხეზე მუშაობა, ქსოვა და ა.შ. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც უცხო ენის დაუფლება, ფოტოგრაფია და კომპიუტერული

უნარების განვითარებაზე მიმართული პროგრამა ახსენეს, რისი სურვილიც 2/3-ს გააჩნია და შემდგომ შეკითხვაზე, თუ რა სახის უნარების გაუმჯობესებას ისურვებდით სამომავლოდ, სწორედ ეს 2/3 აღნიშნავდა, რომ კომპიუტერული უნარების, უცხო ენის და სხვადასხვა გონებრივი უნარების განვითარებაზე ისურვებდნენ მუშაობას. თუმცა, მიუხედავად სურვილის და მოტივაციისა, ხშირად ვერ ხერხდება შშმ პირებთან მუშაობა იმ უნარების განვითარებაზე, რისი სურვილიც მათ აქვთ. გარედან საკმაოდ მარტივი ჩანს, მაგრამ რეალურად სამოქალაქო საზოგადოება ამ კუთხით აწყდება ბარიერებს, რაც გამოწვეულია ინფრასტრუქტურის ნაკლებობით, კვალიფიციური ტრენერების ან ახალგაზრდული მუშაკების ნაკლებობით, ასევე სამუშაო სივრცის ან მასალების არ არსებობით და ა.შ., ასევე დღის ცენტრის გარეთ რთულია მათი ჩართვა აქტივობებში, რადგან სივრცეების ადაპტირებულობა წარმოადგენს ამ მხრივ სირთულეს და ადაპტირებული სივრცის დაქირავება ხშირად მთლიანი პროექტის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება, რაც იწვევს შშმ პირების ჩართვაზე თავშეკავებას სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.[23] სწორედ ამ საკითხზე იმსჯელეს რესპონდენტებმა და მკვეთრად გამოკვეთეს არსებული ბარიერები, რომელიც ერთის მხრივ ხელოვნურად იქმნება მათ გარშემო, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზია - ,,სახელმწიფომ ძალიან დააგვიანა შშმ პირთა მიმართ, ძალიან ბევრი ბარიერია შექმნილი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ გამოსწორდება, რომ შშმ ოირები დასაქმებულები და რაიმე აქტივობებით დაკავებულნი იქნებიან... ხარვეზი ერთობლივად მომდინარეობს, როგორც სახელმწიფოსგან, ისე საზოგადოებისგან, თუმცა პირველი დამოკიდებულების შეცვლაა საზოგადოებაში, რათა შემდგომ სახელმწიფოს დამოკიდებულებაც შეიცვალოს, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა უფლებების მიმართ ... მხოლოდ სახელმწიფოსკენ ხელის გაშვერა უსამართლობაა, ვფიქრობ ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ ეს საქმე, კერძო და სახელმწიფო უწყებების ახლო თანამშრომლობით" (ფოკუს ჯგუფი #4). გამომდინარე აქედან, ხელოვნური ბარიერებია არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, მეორეს მხრივ კი კანონის ხარვეზია ის, რომ მუნიციპალიტეტი არ სთხოვს კერძო თუ საჯარო უწყებებს შენობებში ადაპტირებული გარემოს შექმნას, რაც თანასწორ და თანაბარ ჩართულობას უზრუნველყოფს შშმ პირებისათვის. შესაბამისად შშმ პირთა უფლებები ირღვევა ყოველდღიურად და ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც 2014 წელს მივიღეთ, რეალურად სრულყოფილად არ მუშაობს შშმ პირებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტმა მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ იცავენ

[23] მკვლევარის შენიშვნა

ადაპტირებული გარემოს მოწყობის რეგულაციებს მუნიციპალიტეტში და რომ ამ რეგულაციების დაცვის გარეშე არ ხდება შენობების კეთილმოწყობა - კვლევის რესპონდენტები, პირები რომლებსაც ეს გარემო ესაჭიროებათ - მის არსებობას ვერ გ

რძნობენ, რადგან ,,არსებული ინფრასტრუქტურა მხოლოდ საჩვენებლად არის მოწყობილი, რადგან რეალურად თავისუფლად გადაადგილება შეუძლებელია, იმ პანდუსზეც დამოუკიდებლად ვერ ავდივარ, რადგან ისეთი დამრეცი კუთხე აქვს, მეშინია არ დავგორდე“ (ფოკუს ჯგუფი #1). შშმ პირების გარეშე, მათ შესახებ მსჯელობა წლებია მიმდინარეობს, ფოკუს ინტერვიუს დასაწყისშიც ვკითხეთ აღნიშნულ საკითხზე, ანუ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე თუ გაახსენდათ, რაზეც კვლავ უარყოფითი პასუხი ჰქონდათ. რეალურად გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი ჩართულობა ნულოვანია, მიუხედავად ამისა ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა იძლევა პოზიტიურ იმედებს, თუმცა დრო აჩვენებს რამდენად მოხერხდება იმ საკანონმდებლო ნორმების შესრულება, რა ნაბიჯებიც 2021 წლის ბოლოს გადაიდგა მუნიციპალიტეტებში ე.წ. შშმ პირთა მუნიციპალური საბჭოების ჩამოყალიბების კუთხით.

დისკუსიის ბოლოს მონაწილეებს საკუთარ სამუშაო შესაძლებლობებზე ვკითხეთ, თუ სად შეეძლოთ მუშაობა, რა უნარები ჰქონდათ და სად არ გაუჭირდებოდათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება - მათმა გამოთქმულმა შესაძლებლობებმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა, ფოკუს ჯგუფის შეხვედრის დროს ნაწილმა რესპონდენტებმა გვიჩვენა საკუთარი ნამუშევრები, რაც გახდა მოტივაცია პროექტის თანამშრომლებისათვის შემდგომი გამოფენა-გაყიდვის ორგანზება.

შშმ პირების მიერ სამუშაო შესაძლებლობებში დასახელდა შემდეგი პროფესიები: სალონში მომუშავე პერსონალი, მასწავლებლის დამხმარე, ხეზე მუშაობა და ავეჯის აწყობა, ავტომობილის მართვა, ქსოვა/კერვა, სამკაულების გაკეთება, გაყიდვების კონსულტანტი, სოფლის მეურნეობაში ჩართვა, მზარეული, ფოტოგრაფი, საოფისე პროგრამებთან და კომოიუტერულ პროგრამებზე მუშაობა, ქოლ ცენტრში მუშაობა და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ათეული დასაქმების სფერო, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რომ შესაძლებლობები შეუზღუდავია და ერთი შეხედვით შშმ პირთა დასაქმების პრობლემა არ უნდა არსებობდეს სახელმწიფოში, თუმცა არაადაპტირებული ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა და გარემო, არის ის ძირითადი უარყოფითი გავლენის ცვლადი, რაც აფერხებს მათ დასაქმებას.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ დასაქმების პრობლემა უცხო არ არის საქართველოში, მაგრამ უმუშევრობის პრობლემა მკვეთრად შესამჩნევია შშმ პირებთან, რასაც სამაგიდო კვლევაში მოყვანილი სტატისტიკაც ნათლად გვიჩვენებს. დასაქმების მაჩვენებელი შშმ პირებში 2-3%-ს არ აღემატება, ამას ემატება ისიც, რომ ხშირად შშმ პირის ოჯახის წევრიც უმუშევარია, რადგან საჭიროა ასისტენტი, რომელიც საშინაო საქმეებში თუ საგანმანათლებლო აქტივობებში დაეხმარება მას, ამიტომ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და ეს ჰპოვებს გავლენას, როგორც მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ასევე სხვადასხვა ფაქტორებზე, რაც ხელშემშლელია თანასწორი და ღირსეული ცხოვრებისათვის. ყოველდღიურად ირღვევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფუნდამენტური უფლებები, არ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება, ხარისხიან განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, ვერ სარგებლობენ საზოგადოებრივი სერვისებით, არ აქვთ ღირსეული პენსია, ვერ/არ ხერხდება მათი დასაქმება საჯარო თუ კერძო სექტორში და ირღვევა მათი მუშაობის უფლება, ხდება დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის გამო და სხვა მრავალი უფლების შესახებ შეგვიძლია ვისაუბროთ, თუმცა ჩვენს შეჯამებაში მთავარ საკითხს რომ არ ავცდეთ, მნიშვნელოვანია დასაქმების პრობლემებს მივუბრუნდეთ და მათივე რეკომენდაციებით იხელმძღვანელონ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, რათა ის 15 წლიანი ეროვნული სტრატეგია, რომელიც 2021 წლიდან შევიდა მოქმედებაში, არ დარჩეს ,,მკვდარი კანონის“ სახით და იყოსრეალურად მოქმედი, რეალურად შეიქმნას ინკლუზიური და ადაპტირებული გარემო ყველა მუნიციპალიტეტში, რეალობაში განხორციელდეს დასაქმების და სხვადასხვა დაფინანსების პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს თვითდასაქმებას შშმ პირებთან და მათი სულ მცირე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რასაც შემდგომ ჯაჭვური რეაქცია ექნება სხვა

საკითხებთან მიმართებაში.

დისკუსიის ბოლოს, რესპონდენტებს ვთხოვდით შეემუშავებინათ რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება შშმ პირთა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა, რომელსაც სამუშაოდ ადვოკატირების კამპანიაში გამოიყენებს პროექტის გუნდი და მიიტანს გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე.

ფოკუს ჯგუფის რეკომენდაციები:

- გარემოს ადაპტირება არის ყველა სხვა წამოწყების წინაპირობა. · კერძო სექტორში გაიზარდოს შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი. · მუნიციპალიტეტში პროგრამების შემუშავებისას სოციალური მუშაკები და შშმ პირები იყვნენ ჩართულნი.
- სხვა ქვეყნის გამოცდილებების გაზიარება.
- შშმ პირების სოციალიზაციისა და ინტეგრაციისთვის გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.
- შეიქმნას სოციალური საწარმოები მუნიციპალიტეტების ფინანსური მხარდაჭერით.
- შემუშავდეს სხვადასხვა სასწავლო პროგრამები შშმ პირებისთვის, რომლებიც დასაქმებას შეძლებენ შემდგომ ბაზარზე.
- აუცილებელია გამოვიდნენ სახლებიდან და შეძლონ თავიანთი თავების წარმოჩენა, რათა კიდევ უფრო გაიწაფონ.
- დღის ცენტრები გაიხსნას ყველა მუნიციპალიტეტში.
- დღის ცენტრების შესაძლებლობები გაიზარდოს ფინანსური თუ არაფინანსური მხარდაჭერის საფუძველზე.
- შშმ პირთა საბჭოები, რომლებიც ფორმალურად არსებობს, გახდეს ქმედითუნარიანი მუნიციპალიტეტებში.
- დაიგეგმოს აქტივობები, თუნდაც ერთჯერადი შშმ პირთა ჩართულობის გასაზრდელად.
- შეიქმნას მცირე საგრანტო პროგრამები შშმ პირთა დაფინანსების კუთხით. · შეიქმნას შესაძლებლობა პრაქტიკების და სტაჟირებების გასავლელად. · სოციალურ საწარმოებში მოხდეს შშმ პირთა დასაქმება და/ან გრანტების გამოყოფა მის შესაქმნელად.
- ვაკანსიებს ჰქონდეთ მითითებები, შშმ პირებს შეუძლიათ თუ არა დასაქმება. · განათლების მიღებაში (როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ) დაეხმარონ შშმ პირებს სამოქალაქო და სამთავრობო სექტორი.
- დღის ცენტრებს არ ჰქონდეთ ასაკობრივი შეზღუდვა და 18-29 წლის ბენეფიციარებსაც

შეეძლოთ სარგებლობა.

- თავად შშმ პირების მიერ შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები და დაიწყონ მუშაობა საკრებულოს და მერიის დონეზე.
- მუნიციპალიტეტმა გამოყოს ფართი სოციალური საწარმოების მოსაწყობად. · სახელმწიფომ შეიმუშაოს შშმ პირთა დასაქმების სტრატეგია და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მომზადდეს მათი დასაქმების წახალისებისთვის.
- შშმ პირებს, ან მათ ოჯახის წევრებს უფასო საკონსულტაციო მომსახურების მიღება შეეძლოთ სამეწარმეო იდეების მომზადებისა და კონსულტაციების გავლისთვის.
- პენსიის და დახმარებების პაკეტის განსაზღვრა მოხდეს ინდივიდუალური საჭიროებებისა და შეფასების მიხედვით.
- შშმ პირთა პენსია გაიზარდოს საარსებო მინიმუმამდე.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა მოიცავს ყველა იმ საკითხის სტატისტიკურ ანალიზს, რომელსაც სამაგიდო თუ ფოკუს კვლევისას შევხვდით. რაოდენობრივი კვლევის საშუალებით შერჩეულ სამივე რეგიონში სტატისტიკურად გაიზომა, თუ რა პრობლემებია, რა გამოწვევებია მუნიციპალიტეტთან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მხრივ, დასაქმება და დასაქმების ხელშეწყობა რამდენად მიმდინარეობს და ა.შ. საველე სამუშაოები განხორციელდა დისტანციურად, სატელეფონო გამოკითხვის საშუალებით, სადაც ინტერვიუს ხანგრძლივობა 12-15 წუთამდე მერყეობდა, ხოლო ჯამში გამოიკითხა 150-ზე მეტი რესპონდენტი, საიდანაც 105-ზე მეტი შშმ პირი, ხოლო 50-ზე მეტი მშობელი იყო. აღსანიშნავია, რომ მშობლის გამოკითხვა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ შშმ პირს არ შეეძლო თავისუფალი კომუნიკაცია ინტერვიუერთან. კვლევა განხორციელდა არა შემთხვევითი შერჩევის პრინციპის, თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებით. კვლევის ცდომილება შეადგენს ±4.7%, კვლევა განხორციელდა 22 დეკემბრიდან 30 დეკემბრის პერიოდში. წინამდებარე კვლევა არის გამოყენებითი ხასიათის და სრულად ასახავს შრომის ბაზარსა თუ საკანონმდებლო დონეზე შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის არსებულ რეალობას.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი შედგებოდა ხუთი ბლოკისგან, რომელიც სხვადასხვა საკითხის შესწავლას ეთმობოდა და იღებდა ინფორმაციას იმ

გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც ზემოთ არის აღნიშნული. პირველი ბლოკი იყო შესავალი ბლოკი, რომელიც რესპონდენტის ნდობის მოპოვებასა და ზოგადი ინფორმაციის შეგროვებას შეეხებოდა.

გარემო პირობების შესწავლა

აღნიშნულ ბლოკში ზოგადი ხასიათის შეკითხვები იყო ადაპტირებულ გარემოსთან და მუნიციპალურ პროგრამებთან დაკავშირებით. რაოდენობრივი კვლევისას, კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ, რეალურად მანამდე რაიმე კვლევის მონაწილეები თუ ყოფილან სახელმწიფოს მხრიდან, გამოკითხულთა 29% ამბობს რომ ყოფილა, ხოლო 72% - არ ყოფილა მანამდე რაიმე კვლევის რესპონდენტი. აღნიშნულ ნაწილში რამდენიმე რესპონდენტი, რომლებსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, გულისხმობდა ჩვენ მიერ ჩატარებულ ფოკუს ჯგუფის კვლევასაც, რომელიც 2021 წლის 2-6 დეკემბრის პერიოდში განხორციელდა, თუმცა ამ რესპონდენტების რიცხვი მხოლოდ რამდენიმე პროცენტია და აღნიშნული ხარვეზი პირველივე დღეს აღმოიფხვრა და შემდეგი ინტერვიუებისას უფრო მკაფიოდ იმიჯნებოდა ჩვენი და სახელმწიფოს მიერ ჩატარებული კვლევები. ამის შემდეგ რესპონდენტებს 4 ქულიან ბიპოლარული სკალით ვაფასებინებდით ადაპტირებულ გარემოს მუნიციპალიტეტში. სკალაზე 1 ქულა აღნიშნავდა - სრულიად ადაპტირებულს; 2 - უფრო ადაპტირებულს, ვიდრე არა; 3 - უფრო არაადაპტირებულს, ვიდრე კი და 4% - საერთოდ არაადაპტირებულს. შეკითხვაზე, თუ რამდენად ადაპტირებულია შენობა ნაგებობები, რესპონდენტების 3.3% აღნიშნავს რომ სრულიად ადაპტირებულია; 24% - უფრო კი, ვიდრე არა; 54% - უფრო არაადაპტირებულია, ვიდრე კი და 19% - სრულიად არაადაპტირებულია, საშუალო ქულა კი - 2,9. იმავე სკალაზე ტრანსპორტის ადაპტირებულებაზეც ვეკითხებოდით, სადაც 9%-მა გვითხრა, რომ სრულიად ადაპტირებულია; 18%-მა - უფრო კი, ვიდრე არა; 44%-მა - უფრო არა, ვიდრე კი; 30%-მა - სრულიად არაადაპტირებულია და საშუალო ქულა - 2,9. აღნიშნულ შეკითხვაზე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი ჩვენ მიერ გამოკითხული მუნიციპალიტეტების ნაწილს არ ჰყავს, კერძოდ კი ხაშურის, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებს, ხოლო - ბორჯომს და ახალციხეს თანადაფინანსებით ჰყავთ. მესამე პარამეტრი ადაპტირებულ გარემოზე შეეხებოდა ტროტუარებს, რადგან როგორც ფოკუს დისკუსიებისას აღნიშნავდნენ რესპონდენტები ,,ფორმალურად გაკეთებული პანდუსები ხშირად სახიფათო უფროა, ვიდრე დამხმარე საშუალება“ - შესაბამისად, 5% აღნიშნავს, რომ სრულად ადაპტირებულია; 21% - უფრო ადაპტირებულია, ვიდრე კი; 50% - უფრო არა, ვიდრე კი და 24% - სრულიად არაადაპტირებულია, ხოლო საშუალო ქულა 2,9-ია. შემდეგი ორი პარამეტრი

შეეხებოდა საგანმანათლებლო სივრცის ადაპტირებულობას, კერძოდ, საჯარო სკოლების ადაპტირებულობას, სადაც 6% გვპასუხობს, რომ სრულად ადაპტირებულია; 32% - უფრო კი, ვიდრე არა; 35% - უფრო არა, ვიდრე კი, 12% სრულიად არაადაპტირებულია და 15%-ს არ აქვს ინფორმაცია ამის შესახებ. პარამეტრის საშუალო ქულაა 2,6. საჯარო სკოლების ადაპტაციაში არ იგულისხმებოდა მხოლოდ პანდუსების ნაწილი, ინტერვიუს დროს ძირითადი აქცენტი დამოუკიდებლად გადაადგილებაზე კეთდებოდა, თუ რამდენად შესაძლებელია შშმ პირის დამოუკიდებლად გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე, კარების, ლიფტის, სველი წერტილებისა და პანდუსების გათვალისწინებით. ანალოგიური პრინციპით ფასდებოდა პროფესიული სასწავლებლების ადაპტირებულობაც, სადაც 5% აღნიშნავს, რომ სრულიად ადაპტირებულია; 15% - უფრო კი, ვიდრე არა; 32% - უფრო არა, ვიდრე კი; 11% - სრულიად არაადაპტირებულია და 38%-ს არ აქვს ინფორმაცია, ხოლო საშუალო ქულა 2,8-ია (იხ. დიაგრამა #1). საერთო ჯამში ხუთივე პარამეტრის საშუალო ქულა 2,8-ია, ხოლო ინფრასტრუქტურის კუთხით საშუალო 2,9 ქულაა და განათლების კუთხით 2,7-ია, რაც შედარებით უკეთესი შეფასებაა, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის (დიაგრამა #2).



დიაგრამა #1

დიაგრამა #2

პირველი ბლოკის ბოლო შეკითხვებს რაც შეეხება, აღნიშნული სახელმწიფო და მუნიციპალურ მზრუნველობას შეეხებოდა. კერძოდ, ზრუნავს თუ არა მუნიციპალიტეტი ან სახელმწიფო შშმ პირებზე - 11% გვეუბნება, რომ სახელმწიფო ზრუნავს, 15% - მუნიციპალიტეტი, 39% - როგორც სახელმწიფო ისე მუნიციპალიტეტი, ხოლო 35% - არც ერთი ზრუნავს ჩვენზე. იმ რესპონდენტებს, რომლებმაც გვითხრეს, რომ სახელმწიფო, მერია, ან ორივე ერთად ზრუნავს მათზე (65%). ჩავეკითხეთ, თუ რა ფორმით ზრუნავენ მათზე. აღნიშნული შეკითხვა იყო ღია ტიპის[24], რომელსაც რესპონდენტები თავად პასუხობდნენ ინტერვიუერს და რამდენიმე მიმართულების დასახელება შეეძლოთ. ღია პასუხების დამუშავებიდან გამოიკვეთა შემდეგი პასუხები: 26% - პენსია, 14% - სურსათით დახმარება, 12-12% - ერთჯერადი და მედიკამენტებით დახმარებები, 6% - რეაბილიტაციის დაფინანსება, 5% - სოციალური დახმარებები, 4% - ოპერაციების თანადაფინანსება, 3-3% -გარემოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ფინანსური დახმარებები, 2-2% - წამლების შესყიდვაზე დახმარება, ასევე დასაქმების ხელშეწყობა და დღესასწაულებზე პროდუქტებით დახმარება, 1-1%-მა გამოყო დასვენება და ექსკურსიები შშმ პირებისთვის, ტრანსპორტირებაზე დახმარება და დღის ცენტრების დაფინანსება, რესპონდენტთა 4%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხები დაგვისახელა, ხოლო 1%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან (დიაგრამა #3). სხვა პასუხში ძირითადად გვხვდებოდა სწავლის გადასახადის დაფინანსება პროფესიულსა და უმაღლეს სასწავლებელში, ან ზოგადი სახის - ყველაფერს რომ

[24] შეკითხვის ტიპი, რომელსაც არ აქვს პასუხ(ებ)ის არჩევის შესაძლებლობა და რესპონდენტმა თავად ან ინტერვიუერმა რესპონდენტის კარნახით უნდა ჩაწეროს პასუხი.

აკეთებს მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის ფარგლებში მათ დასახმარებლად.



დიაგრამა #3

დღის ცენტრები და სამუშაო უნარები

კვლევის მეორე ბლოკი მედიკამენტებით დახმარებასა და რეაბილიტაციის პროგრამებს შეეხებოდა. აღნიშნული თემატიკა საკმაოდ ხშირად აღინიშნა ფოკუს დისკუსიებისას და მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შშმ პირების რეაბილიტაციის და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა მათი სამომავლო დასაქმების კუთხით, რადგან ადრეული ასაკიდანვე სწორი მიდგომა და სწორად შემუშავებული პროგრამები საკუთარი თავის რეალიზებისთვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა. პირველი შეკითხვა იყო, თუ რამდენად ეხმარება სახელმწიფო/მუნიციპალიტეტი მედიკამენტებით, სადაც რესპონდენტთა 7% გვეუბნება რომ სახელმწიფო ეხმარება მხოლოდ, 14% - მხოლოდ მერია, 23% - ორივე ეხმარება, ხოლო 56% არც ერთი უწყება არ ეხმარება. რაც შეეხება რეაბილიტაციას, ამ შემთხვევაში 5%-ს ეხმარება სახელმწიფო, 16%-ს - მუნიციპალიტეტი, ორივე უწყება ეხმარება გამოკითხულთა 24%-ს და 56% - არც ერთი. უშუალოდ სარეაბილიტაციო ცენტრი მუნიციპალიტეტში საკმაოდ მწვავე დისკუსიის საგანი იყო ფოკუს ჯგუფებში, რადგან ყველა მუნიციპალიტეტს არ აქვს და ხშირად დედაქალაქში, ან რეგიონშივე სხვა ქალაქში უწევს გადაადგილება, რაც დამატებით ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ყველას არ მიუწვდება ხელი. სარეაბილიტაციო ცენტრის არსებობა მათ მუნიციპალიტეტში 29%-მა დაადასტურა, ხოლო 33%-ს არ სმენია და 38%

- არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ სერვისთან დაკავშირებით. სარეაბილიტაციო ცენტრის არსებობა არ ფიქსირდება ხაშურის, მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში, ხოლო - სხვა სამ მუნიციპალიტეტში არის, იმ მუნიციპალიტეტებში სადაც სარეაბილიტაციო ცენტრია, რესპოდენტთა გარკვეულმა ნაწილმა, 1/3-მა საშუალოდ, არ იცის აღნიშნული ცენტრის არსებობის შესახებ, რაც ერთი მხრივ შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ მათ არ დასჭირვებიათ, ხოლო მეორეს მხრივ - შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს დაბალი ინფორმირებულობით. სარეაბილიტაციო პროგრამების შემდგომ, შეკითხვები შეეხებოდა დღის ცენტრსა და მათ ფუნქციონირებას კერძოდ, უსარგებლიათ თუ არა, ან დღესაც თუ სარგებლობენ დღის ცენტრით საკუთარ მუნიციპალიტეტში - წარსულში უსარგებლია 10% -ს, ამჟამად სარგებლობს გამოკითხულთა 32%, არასდროს უსარგებლია 34%-ს, 5%-მა აღნიშნა, რომ მათ მუნიციპალიტეტში არ მდებარეობს დღის ცენტრი შშმ პირებისთვის, 8% პერიოდულად სარგებლობს და 12%-ს არ სმენია მსგავსი სერვისის შესახებ. რესპონდენტებს, რომელთაც უსარგებლიათ დღის ცენტრით (50%), დამატებით ვეკითხებოდით, თუ რამდენად მნიშნელოვანია დღის ცენტრის არსებობა შშმ პირთა სოციალიზაციისთვის, რესპონდენტთა 91% აღნიშნავს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, 5% - უფრო კი, ვიდრე არა; 3% - უფრო უმნიშვნელო, ვიდრე კი და 1% - სრულიად უმნიშვნელოა (დიაგრამა #4).



დიაგრამა #4

რაც შეეხება დღის ცენტრში სამუშაო გამოცდილების მიღებას, შშმ პირებს ვეკითხებოდით რაიმე ხელსაქმით თუ არიან, ან იყვნენ ჩართულნი დღის ცენტრში - 64%-მა გვითხრა რომ დიახ, ჩართულია; 17%-მა - პერიოდულად და 18% - არაა ჩართული; რაც შეეხება იმ საქმიანობებს, რომელშიც ჩართულნი არიან, შემდეგნაირად

გამოიყურება - 19% - ქსოვა/ქარგვა, 15% - სუვენირების დამზადება, 12-12% - კერვა, ხატვა და ხელსაქმე; 11-11% თიხასა და მინანქარზე მუშაობა; 9% - ხელნაკეთი ნივთების დამზადება, 8% ხეზე კვეთა; 7% - ადაპტირებული კომპიუტერული პროგრამების სწავლა, 5-5% კერამიკაზე მუშაობა და ძერწვა; 3% ხელოვნების დარგით არის დაკავებული, 1-1% სიმღერას სწავლობს და სოფლის მეურნეობაშია ჩართული, ხოლო 11% არაკლასიფიცირებადია, სხვა პასუხი დაგვიფიქსირა და 4%-მა უარი გვითხრა პასუხის დაფიქსირებაზე.



დიაგრამა #5

სამუშაო უნარების განვითარებას რაც შეეხება, თუ რამდენად უვითარებს სამუშაო უნარებს დღის ცენტრი შშმ პირებს, 76% გვეუბნება, რომ ძალიან კარგად უვითარებს, 20% - მეტ-ნაკლებად, 3% - გარკვეულ დონეზე უვითარებს და 1% - საერთოდ ვერ უვითარებს.



დიაგრამა #6

სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის მხრიდან კი არსებობს გარკვეული დახმარებები, მაგრამ შშმ პირებისთვის არ შეესაბამება არც საარსებო მინიმუმს და არც ღირსეულ დახმარებას. მუნიციპალიტეტებისგან დახმარება მხოლოდ მათ პოლიტიკასა და ეკონომიკურ სიძლიერეზეა დამოკიდებული. შესაბამისად, განსხვავებულია დაფინანსებებისა და სოციალური პაკეტების როგორც მოცულობა, ისე სახეობები. განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს დღის ცენტრების საკითხი, რომელიც არ აქვს ყველა მუნიციპალიტეტს და აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს შშმ პირის შესაძლებლობების რეალიზებაზე. მათი დასაქმების უნარები განსხვავდება იმ პირებისგან, რომელთაც დღის ცენტრით არასდროს უსარგებლიათ. დღის ცენტრების გავლენა საკმაოდ მაღალია და შშმ პირთა დასაქმებისთვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს, რადგან ერთის მხრივ ეხმარებიან სოციალიზაციის პროცესში და მეორე მხრივ, ასწავლიან სხვადასხვა ხელობას, ხოლო - შემდგომ სოციალური საწარმოების საშუალებით ცდილობენ მათი ნამუშევრების გაყიდვასა და ბენეფიციარების ეკონომიკურ დახმარებას.

დასაქმების შესაძლებლობები და სამუშაო უნარები

შემდეგი, მესამე სექცია შეეხებოდა დღის ცენტრებში არსებულ სოციალურ საწარმოებს და შშმ პირთა დასაქმების მცდელობის ქცევის შესწავლას. კონკრეტულად კი ვეკითხებოდით, ბოლო 24 თვეში სამუშაოს ძებნის გამოცდილებაზე, სახელწიფო პროგრამებსა და სხვდასხვა სექტორების ჩართულობაზე. კერძოდ, პირველი შეკითხვა შეეხებოდა მუნიციპალიტეტში თუ არსებობს დასაქმების პროგრამები, სადაც გამოკითხულთა 22%-მა გვითხრა რომ არის, ხოლო 37%-მა - არა და 42%-ს არ სმენია მსგავსი სერვისის შესახებ. ამის შემდეგ, ვეკითხებოდით ტრენინგებისა და დასაქმების ფორუმების შესახებ მუნიციპალიტეტში. საინტერესოა, თუ ტარდება რეალურად აქტივობები შშმ პირთა უმუშევრობის შესამცირებლად, როგორც კვლევამ გვიჩვენა მხოლოდ 15% აღნიშნავს რომ ტარდება, ხოლო 39%-მა არ იცის და 47%-ს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია.



დიაგრამა #7

საინტერესო იყო ბოლო 24 თვის მანძილზე რამდენად უცდიათ სამუშაოს მოძიება გამოკითხულ რესპონდენტებს, გამოკითხვიდან ირკვევა, რომ 30% ეძებდა, ხოლო 70%-ს არც კი უცდია. მიუხედავად დიდი პროცენტული განსხვავებისა, მაინც ყველა რესპონდენტს ვეკითხებოდით ვორქნეტით (worknet.gov.ge), დასაქმების სააგენტოს ხელშემწყობ პროგრამაზე, თუ უსარგებლიათ არსებული სერვისით, სადაც რესპონდენტთა მხოლოდ 10%-მა ისარგებლა, ხოლო 90%-ს არ უსარგებლია. უშუალოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც ისარგებლეს ვორქნეტის სერვისით (10%) ვეკითხებოდით, თუ გაუგრძელა დამსაქმებელმა ხელშეკრულება, სახელმწიფო პროგრამის დასრულების შემდგომ, აღმოჩნდა, რომ 19%-ს გაუგრძელა და დღემდე მუშაობს, 13%-ს - გარკვეული პერიოდი გაუგრძელა, 31%-ს - მაშინვე შეუწყვიტა, (შეგახსენებთ, აღნიშნული მონაცემები რესპონდენტთა 10%-ის პასუხებია).



დიაგრამა #8

რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებსაც დამსაქმებელმა ხელშეკრულება შეუწყვიტა მაშინვე, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ, (44%) მათი 38% დღემდე უმუშევარია. ასევე ასაკის ფაქტორის გათვალისწინებით საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა ამ კუთხით, კერძოდ, რესპონდენტებს, რომლებსაც ხელშეკრულება გაუგრძელდათ 48 წლიდან 65 წლამდე მერყეობს მათი წლოვანება, - ხოლო, რომელთაც მაშინვე შეუწყვიტეს, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათი ასაკი 25 წლიდან 42 წლამდე მერყეობს. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი იძლევა საინტერესო სურათს, თუმცა არასაკმარისი პარამეტრების გამო, ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლა ვერ მოხერხდება, ფაქტია, შედარებით პატარა ასაკის შშმ პირების დასაქმებაზე უფრო მეტი პრობლემა იკვეთება, ვიდრე ასაკიან პირებზე.

შშმ პირთა ქცევა შრომის ბაზარზე

მეოთხე ბლოკი უშუალოდ დასაქმებას და დასაქმების კუთხით არსებულ გამოწვევებს შეეხებოდა, რომელშიც პირველი შეკითხვა ეხებოდა სამუშაოს ძებნის წყაროებს, თუ რა გზებით იგებდნენ ჩვენი რესპონდენტები არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას. 25% მეგობრებისგან იგებს ვაკანსიების არსებობას, 17% - ოჯახის წევრებისგან, 13% - Jobs.ge, 8% - HR.gov.ge, 6% - HR.ge, 5% - worknet.gov.ge, 1-1% ბეჭდური და სოციალური მედიიდან, 14%-ს არ უცდია სამუშაოს მოძებნა რაიმე გზით (აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი შრომის უუნაროს სტატუსი, ან მკვეთრად შეზღუდული არაადაპტირებული გარემოა), მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურიდან - 1%, ხოლო 2%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხები დაგვისახელა.



დიაგრამა #9

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 30%-მა გვითხრა, რომ სამუშაოს მოძებნა არ უცდია, ყველა რესპონდენტს კიდევ ერთხელ ვკითხეთ, თუ რა ხელშემწყობი ფაქტორებია მათი დასაქმების ბაზარზე, ანუ, თუ უცდიათ დასაქმება და რა ხელშემწყობი ფაქტორები იყო ამისთვის. აღმოჩნდა, რომ 49%-ს უცდია დასაქმება და მათგან ხელშემწყობ ფაქტორებში 11%-მა პროფესიული გამოცდილება და უნარები დაასახელა, 9%-მა - ადაპტირებული გარემო, 5-5%-მა - მოტივაცია, შშმ პირის სტატუსი, ფიზიკური და გონებრივი უნარი; 4%-მა - მეგობრებისა და ოჯახის წევრების დახმარება, 3%-მა გვითხრა, რომ საკუთარ მეურნეობაშია უკვე დასაქმებული, 2% - კომპანიების მხრიდან მზაობაზე საუბრობს, 1-1% გამოყოფს კომუნიკაციისა და კომპიუტერულ უნარებს, ასევე სკოლის შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამავე შეკითხვაში 28%-მა დააფიქსირა, რომ არ არის დასაქმებული, 13% მა აღნიშნა, - არანაირი ხელშეწყობა არაა, 1-1% უარი პასუხზე და თავის შეკავება, ხოლო 8%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი საკითხები დაასახელა. სხვა პასუხებში ძირითადად ასახელებდნენ - თვითდასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნას, პროექტების დაფინანსებას, მოხალისეობასა და ა.შ..



დიაგრამა #10

ამის შემდგომ, კვლავ ყველა რესპონდენტს ვთხოვდით, ესაუბრათ ხელშემშლელ ფაქტორებზეც, რადგან მიუხედავად დასაქმებისა, დავუშვით, რომ ხელშემშლელი ფაქტორი კარიერის მანძილზე ერთხელ მაინც შეექმნებოდათ და მომდევნო კითხვაც ამ მიზნით დავუსვით. აქ 21% გამოყოფს შშმ პირის სტატუსს, 18% არაადაპტირებულ გარემოს, 14% - სამუშაო ადგილების არარსებობას, 9%-ს ესაჭიროება დამხმარე ასისტენტი, ან დამხმარე შვილის დასატოვებლად, 6% საუბრობს დამსაქმებლების დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებზე, 2-2% ტრანსპორტს და პანდემიისგან შექმნილ რისკებს გამოყოფს, 12%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხები დაგვისახელა, ხოლო 15%-მა გვითხრა, რომ არანაირი ხელშემშლელი ფაქტორი მათი დასაქმებისას არ ყოფილა, 1%-მა კი უარი გვითხრა პასუხზე. სხვა პასუხებში რესპონდენტები ასახელებდნენ ნეპოტიზმს, დამსაქმებლების არაკეთილსინდისი ერებას, არაადაპტირებულ გარემოს, მათთვის შეუსაბამო სამუშაოსა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი შეკითხვა იყო ღია ტიპის, სადაც რესპონდენტები საკუთარი შეხედულებების შესაბამისად წერდნენ პასუხებს და წინასწარ მზა პასუხები არ იყო მითითებული.



დიაგრამა #11

დასაქმების სტატუსის მიხედვით საკმაოდ საინტერესო პასუხები გამოიკვეთა ხელშემშლელი ფაქტორებისა, კერძოდ, დასაქმებული ადამიანები ხელშემშლელ ფაქტორებში გამოყოფენ არაადაპტირებულ გარემოს, მათ შშმ სტატუსს, საზოგადოების და/ან დამსაქმებლის დამოკიდებულებას, სამუშაო ადგილების არარსებობას, პანდემიას და სხვა არაკლასიფიცირებად პასუხებს, ხოლო ტრანსპორტის პრობლემებზე მხოლოდ დასაქმებულები საუბრობენ. რაც შეეხება, უმუშევარი რესპონდენტების პასუხებს, ანალოგიურად, მათი ნაწილი საუბრობს არაადაპ ტირებულ გარემოზე, შშმ სტატუსის ქონაზე, დამსაქმებლის დამოკიდებულებაზე, ასისტენტის ყოლის საჭიროებაზე, სამუშაო ადგილების ნაკლებობაზე. ასევე საინტერესოა, უმუშევრების ნაწილმა, კერძოდ, რესპონდენტების 50%-მა, რომელებმაც არ იციან რა ხელშემშლელი ფაქტორები იყო და არის მათი დასაქმების კუთხით, რაც საკმაოდ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს და მიუთითებს ცნობიერების დაბალ დონეზე, რადგან არ აქვთ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, არ ფლობენ სრულად ინფორმაციას და შესაბამისად, სოციალიზაცია არის დაბალი. მეორე 50%, რომელსაც არ აქვს ინფორმაცია, პენსიონრები არიან, რომელთაც სამუშაო ასაკი აღარ აქვთ და არ ინტერესდებიან შრომის ბაზრის კვლევით. ფაქტია, დაბალი სოციალიზაცია უმუშევრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

		ეკონომიკური სტატუსი						
		დასაქმებული	უმუშევარი	შრომის უუნარო	პენსიონერი	სეზონურად დასაქმებული	დიასახლისი	დაქირავებული მუშა
		Table N %	**Table N %**	**Table N %**	**Table N %**	**Table N %**	**Table N %**	**Table N %**
თუ იყო ხელშემშლელი ფაქტორი თქვენი დასაქმების თვის?	არაადაპტირებული გარემო	5%	12%	0%	1%	1%	1%	0%
	შშმ სტატუსი	3%	16%	2%	2%	0%	1%	0%
